საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით

სარგებლობის წესი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ფონდით (ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით) სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის:
   ა) სტუდენტებს (ბაკალავრი, მაგისტრი; დოქტორანტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი);
   ბ) პროფესორ-მასწავლებლებს;
   გ) ტექნიკურ და დამხმარე პერსონალს.

2. სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში გასაწევრიანელბად აუცილებელი დოკუმენტებია:
   ა) სტუდენტებისათვის: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გაცემული ელექტრონული ფოსტა;
   ბ) პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალისათვის: შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი:
   ა) პრესისა და ინფორმაციის დარბაზი;
   ბ) წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი;
   გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;
   დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.
   ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია wifi.

4. სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში სააბონენტო მომსახურებისათვის აბონენტი უნდა იყოს დარეგისტრირებული ბიბლიოთეკაში.

5. საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს:
   ა) საბიბლიოთეკო ერთეულების დროებით სარგებლობაში გადაცემას (სტუდენტს ერთ ჯერზე შეუძლია ინდივიდუალური გამოყენებისათვის ფონდიდან მიიღოს სხვადასხვა დასახელების 12 წიგნი. თუ აღნიშნული ვადის შემდეგ სტუდენტს კვლავ დასჭირდება იგივე წიგნი, აუცილებელია ხელახალი რეგისტრაცია;
   პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა კატეგორიის მკითხველთათვის წიგნით სარგებლობის ვადაა ერთი თვე);
   ბ) რარიტეტული საბიბლიოთეკო ერთეულებით, ენციკლოპედიებით, რუკებით, ლექსიკონებით, დისერტაციებით, პერიოდული გამოცემებით ან საბიბლიოთეკო ერთეულის შეზღუდული რაოდენობის (ოთხზე ნაკლები) ეგზემპლარით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკითხველო დარბაზებში.
   გ) სტუ-ს სასწავლო კურსის დასრულების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, სამუშაო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებისათვის, სამეცნიერო ბიბლიოთეკა გასცემს შესაბამის ცნობას.

6. სტუ-ს ბიბლიოთეკის აბონენტს ასევე შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული სერვისებით:

ა) ელეტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე;
ბ) გაეცნოს მისთვის სასურველი საბიბლიოთეკო ერთეულის ელექტრონულ ვერსიას (არსებობის შემთხვევაში);
გ) საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით (განთავსებულია ვებ-გვერდზე);
დ) ინტერნეტში სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოიძიება;
ე) სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება (ჩათვლებისა და საგამოცდო ქულების შემოწმებას, სხვადასხვა საგრანტო მონაცემების გაცნობას და ა.შ.)

7. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემის და ინფორმაციის სამკითხველო დარბაზში მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.

8. საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვისას, აბონენტი ვალდებულია:
ა) აღადგინოს დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეული იდენტური გამოცემით, ბ) ზარალი აანაზღაუროს თანხით (დაკარგული ერთეულის ღირებულებას ემატება 50 (ორმოცდაათი) ლარი (სტუ-ს სენატის დადგენილება №5 21.10.2011, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №503 13.07.2011).

9. ბიბლიოთეკაში იკრძალება: ხმამაღლა ლაპარაკი; სხვადასხვა გასართობი და სათამაშო (სასწავლო პროცესთან შეუსაბამო) საიტებით სარგებლობა.

10. სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი $09^{00} - 20^{00}$.
შაბათი: $10^{00} - 15^{00}$

სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის აღმინისტრაცია